ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1293619

ნომერი: AR1223330

თარიღი : 27.05.2014

გაცემის თარიღი : 28.05.2014

გაცნობის თარიღი : 28.05.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტროსადგურ "სამედიცინო ინსტიტუტი"-ს ამოსასვლელის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი საყვარელიძე პ/ნ 01026007627
- ორბეთის ქ 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდით #01.10.14.005.060) დღეის მდგომარეობით მინიჭებული აქვს სატრანსპორტო ზონა 1–ის (ტზ–1) სტატუსი, სადაც დასაშვებია დროებითი, საძირკვლის არ მქონე ჯიხურების მოწყობა. საპროექტო ობიექტის ფუნქცია მიუსადაგეთ აღნიშნულ ზონაში დასაშვები შენობის ფუნქციას.

2. საკითხი დააყენეთ კორექტირების კუთხით, ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და შეარჩიეთ: "I კლასი" - "დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა" - ქმედებები "კორექტირება", რომლის შემდგომ შესავსები იქნება "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"-ს გრაფა, სადაც უნდა მიუთითოთ: №676337 07.05.2013წ.

3. გენ-გეგმაზე დატანილი იქნას საპროექტო სკამები და მომიჯნავე #01.10.14.005.059 - # 01.10.14.005.045 საკადასტრო ერთეულების საკადასტრო საზღვრები. გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო სკამები უნდა განთავსდეს საკადასტრო საზღვრებში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge